საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №46/ნ
2013 წლის 12 აპრილი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით (სსმ III, 15.09.2010 წ., №117, მუხ. 1733) დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 მუხლის „პ^1“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი მინისტრთან შეთანხმებით. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე.

3. დირექტორის მოადგილის ფუნქციებს განსაზღვრავს დირექტორი.“;

დ) მე-6 მუხლის 5^1 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური:

ა) შეიმუშავებს ცენტრის შინაგანაწესისა და ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა სამართლებრივი აქტების პროექტებს;

ბ) ამზადებს ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტებს და ხელს უწყობს ნორმატიული ბაზის სრულყოფას;

გ) ასრულებს ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული სხვა სამართლებრივი ხასიათის ამოცანებს, რომლებიც არ შედის ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციაში და მიეკუთვნება ცენტრის მმართველობის სფეროს;

დ) ხელს უწყობს სხვა სტრუქტურული ერთეულების გამართულ ფუნქციონირებას სამართლებრივი კუთხით;

ე) დადგენილი წესით, მინდობილობის საფუძველზე, წარმოადგენს ცენტრს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში;

ვ) ახდენს ცენტრში მომზადებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ზ) დადგენილი წესით განიხილავს ცენტრის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულების, აგრეთვე მოქალაქეთა განცხადებებსა და წერილებს და ახდენს მათზე შესაბამის რეაგირებას.“.

მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი**